სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
ხელშეკრულება №84

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას, რომელიც დადებულია გამარტივებული შესყიდვის საშუალებით

ქ. ბათუმი **18 აპრილი, 2024 წ.**

ერთი მხრივ, სსიპ ,,სასწავლო უნივერსიტეტი - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია'' (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი ვიცე რექტორის შოთა კაკაბაძის სახით და მეორე მხრივ, შპს "ედისონ სთორი" (შემდგომში ,,მიმწოდებელი''), წარმოდგენილი მისი დირექტორის ნიკოლოზ სიხარულიძეს სახით, "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ,,ს[1]" ქვეპუნქტისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების მე-2 მუხლის ,,ა'' პუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის შედეგად ვდებთ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

1.1 "ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში - "ხელშეკრულება") - შემსყიდველ ორგანიზაციასა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.
1.2. "ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;
1.3. "შემსყიდველი ორგანიზაცია" (შემდგომში "შემსყიდველი") ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;
1.4. „მიმწოდებელი" ნიშნავს პირს, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში;
1.5 "დღე", "კვირა", "თვე" ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.
1.6. ,,საქონელი'' - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს: ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალში, ელექტროობის ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის ელექტრო ხელსაწყოების სახელმწიფო შესყიდვა, თანახმად დანართი №1-სა. (მოხსენებითი ბარათი №1030; 11.04. 2024 წ.)
2.2. კლასიფიკატორის კოდი: CPV31700000 - ელექტრონული, ელექტრომექანიკური და ელექტროტექნიკური აქსესუარები; CPV31711000 - ელექტრონული აქსესუარები.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 2250.75 (ორიათასორასორმოცდაათი ლარი და 75 თეთრი) ლარს.
3.2.ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. ანგარიშსწორების ფორმა: უნაღდო (გადარიცხვა) ეროვნულ ვალუტაში.
4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული მომსახურების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის შედგენიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში სასაქონლო ზედნადების საფუძველზე.
4.3. <u>დაფინანსების წყარო:</u> 100% 2024 წლის საგანმანათლებლო მომსახურებიდან და სხვა ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებლის მიერ ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მიღება-ჩაბარების აქტზე მხარეთა მიერ ხელისმოწერის დღიდან;

5.2. შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი;
5.3. შემსყიდველის მხრიდან მიღება - ჩაბარების აქტზე ხელმომწერ უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ: ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალის უფროსი ნინო ხორავა და ფოთის ფილიალი-ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფის მენეჯერი მიხეილ ცხადაია.

6. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1. საქონლის მიწოდების ადგილი: მიმწოდებლის მისამართი- ქ. ფოთი, წმინდა გიორგის ქ. N24.
6.2. საქონლის მიწოდება მიმწოდებელმა შემსყიდველისათვის უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2024 წლის 25 მაისის ჩათვლით პერიოდში.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;
7.4. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხით და სრული მოცულობით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოყენებული იქნება საჯარიმო სანქციები, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაგვიანებით შესრულებისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0.02 %.
8.2. იმ შემთხვევაში, თუ საჯარიმო სანქციების ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 4%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშეკრულების ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
9.2. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.
9.4. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3. პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ.
9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი, დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11. სადაო საკითხების გადაწყვეტა

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების ენა

12.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2024 წლის 28 ივნისის ჩათვლით.

14. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი“

სსიპ ,,სასწავლო უნივერსიტეტი
ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია“
საიდენტიფიკაციო კოდი: 245427337
ფაქტ. მის: ქ. ბათუმი. რუსთაველის ქ.№53
მიმღების ბანკი: სახელმწიფო ხაზინა
მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში
ბანკის კოდი: TRESG22
სახაზინო კოდი: 709007501

ვიცე რექტორი
შოთა კაკაბაძე

„მიმწოდებელი“

შპს „ედისონ სთორი”
საიდენტიფიკაციო კოდი: 406303646
იურ. მის: ქ. თბილისი, სამგორის რაიონი, III მასივი, ზემო პლატო, კორპ. 24, ბ. 1ელ. ფოსტა: store@edison.ge
ტელ: 596313000
მიმღების ბანკი: სს “თიბისი ბანკი“
ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა GE12TB7893736080100007GEL

დირექტორი
ნიკოლოზ სიხარულიძე

Nikoloz Sikharulidze 01024077529
Digitally signed by Nikoloz Sikharulidze
Date: 2024.04.18 17:45:36

ფასების ცხრილი

№	დასახელება	განზომილების ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ფასი (ლარი)	საერთო ფასი (ლარი)
1	ვოლტ-ამპერმეტრი DSN-VC288 10A(7271)	ცალი	1	7,25	7,25
2	ვატმეტრი TS-836 (61995)	ცალი	1	59,00	59,00
3	კონდენსატორი 400V 2.5uF (10325)	ცალი	1	4,5	4,5
4	CBB60 კონდენსატორი 450V 1UF – 35UF (8676) 12 uf - 450 v	ცალი	1	10,00	10,00
5	ლაბორატორიული რეოსტატი	ცალი	1	100,00	100,00
6	პორტატული ოსცილოგრაფი ეკრანით FNIRSI5012H 100MHz 500MS (37391)	ცალი	1	450,00	450,00
7	7535 AG051F GENERATOR 0-5 MHZ	ცალი	1	830,00	830,00
8	ლაბორატორიული კვების ბლოკი GPS305D (45941) L	ცალი	1	290,00	290,00
9	ლაბორატორიული კვების ბლოკი SPS-C605 60V/5A(92709)	ცალი	1	320,00	320,00
10	ლაბორატორიული ავტოტრანსფორმატორი 0.5KVA	ცალი	1	180,00	180,00
სულ ჯამი:					2250.75

ხელწერილი
ინტერესთა კონფლიქტის არ არსებობის შესახებ

ქ. ბათუმი 18 აპრილი, 2024 წ.

ვადასტურებთ, რომ ვმონაწილეობდი გამარტივებული შესყიდვის საფუძველზე მიმწოდებლის შერჩევაში, რომლის საფუძველზეც შერჩეულ მიმოწდებელთან შპს "ედისონ სთორი" გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №87 ხელშეკრულება.
ხელწერილით ვადასტურებ, რომ აღნიშნული შესყიდვის ფარგლებში მიმწოდებლის შერჩევაში ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

მიმწოდებლის შერჩევაში მონაწილე პირები:

ვიცე რექტორი
შოთა კაკაბაძე

ფოთის საზღვაო სასწავლო-საწვრთნელი ცენტრის უფროსი
ნინო ხორავა

Nino Khorava 42001038614
Digitally signed by Nino Khorava
Date: 2024.04.18 16:25:47

ფოთის ფილიალი-ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფის მენეჯერი
მიხეილ ცხადაია

Mikheil Tskhadaia 42001011197
Digitally signed by Mikheil Tskhadaia
Date: 2024.04.18 16:27:07